სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

გიორგი გაფრინდაშვილი[1]
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.21.03

1919 წლის საქართველო-აზერბაიჯანის კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, როგორც საქართველოს კავკასიური ინტეგრაციის მცდელობა

აბსტრაქტი. 1918 წლის მაისში კავკასიაში ოთხი სუვერენული სახელმწიფო წარმოიქმნა. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და მთიელთა რესპუბლიკა. მათ საკმაოდ რთული ოპერატიული ვითარებები ჩაიბარეს: მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკა, დაუზუსტებელი სახელმწიფო საზღვრები, სხვადასხვა საგარეო ორიენტაცია... მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ჩვენმა ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, საქართველომ კონსოლიდაციის გზა აირჩია. დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში თბილისში ჩატარებული კონფერენციებიდან 1919 წლის შეხვედრა იყო გამორჩეული იმით, რომ მასში მონაწილეობდა კავკასიის ოთხივე სახელმწიფო.

საკითხის გარშემო, დღევანდელი მდგომარეობით სამეცნიერო ლიტერატურა არც ისე დიდია. გამომდინარე იქედან, რომ კვლევის ამ ეტაპისთვის მეტწილად ემპირიული მეთოდოლოგიით შემოვიფარგლეთ, ჩვენს ნაშრომში არ გვქონია თითოეული ფაქტის დეტალური ანალიზის მცდელობა. თუმცა, გარკვეულწილად მაინცაა გამოთქმული საკუთარი შეფასებითი მოსაზრებები. ამასთანავე წარმოდგენილი გვაქვს გარკვეული სამეცნიერო სიახლეები.

ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად რას შეიძლებოდა შთაეგონებინა ქართული მხარისთვის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე ფიქრი? -

[1] **გიორგი გაფრინდაშვილი,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის V სემესტრის სტუდენტი.

ჩვენი აზრით, ,,სამთა კავშირის“ და ,,ანტანტის“ გამოცდილებას. 1914-1918 წლებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრები ძირითადად ევროპის ქვეყნებში მოღვაწეობდნენ და კარგად აცნობიერებდნენ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების მნიშვნელობას. 1919 წელს ხელმოწერილი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან მალე დაღესტანში საერთაშორისო კავკასიური კოალიცია გაიგზავნა. კოალიციის მეთაური პოლკოვნიკი კერესელიძე დაღესტნელებმა დანიშნეს თავიანთ ქვეყანაში თავმოყრილი ყველა ეროვნების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. კოალიციამ ქართველთა ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძოლა დენიკინის არმიის წინააღმდეგ და დროებით მაინც შეძლო დაეცვა პარტნიორი კავკასიური სახელმწიფო - მთიელთა რესპუბლიკა ოკუპაციისაგან. 1919 წელს დაწყებული ინტეგრაციის კიდევ ერთ შედეგს წარმოადგენდა 1920 წლის მორიგი კონფერენცია და საერთაშორისო ორგანიზაციის ,,ამიერკავკასიის საბჭოს“ შექმნა. ეს პროცესები ცალსახად შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ქარცეცხლით აღსავსე დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდისათვის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი.

საკვანძო სიტყვები: ომი, კავკასია, საქართველო, აზერბაიჯანი, კონფერენცია.

Giorgi Gaprindashvili[2]

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The 1919 Georgia-Azerbaijan Treaty of Collective Security and Mutual Assistance and its Consequences

Abstract: In May 1918, four sovereign states emerged in the Caucasus. Georgia, Armenia, Azerbaijan and the Mountainous Republic. They faced challenging operational conditions, including an economy devastated in the aftermath of World War I, undefined state borders, and imminent foreign threats. Addressing these seemingly insurmountable challenges appeared implausible. However, our research reveals a different narrative: Georgia endeavored to perpetuate its centuries-old mission, embarking on a successful journey of integration with its Caucasian counterparts. The meeting of 1919 was distinguished by the fact that all four states of the Caucasus participated in it.

The impetus for championing this idea at that specific moment likely drew inspiration from the experience of the ,,Triple Alliance“ and ,,Entente,“ a known entity to Georgians. Notably, during World War I, members of the ,,Committee of the

[2] **Giorgi Gaprindashvili,** Phd Student of the History Doctoral Program of the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Liberation of Georgia“ were primarily active in Europe. They were well aware of the importance of military-political alliances. By 1919, both Georgians and Azerbaijanis felt the danger coming from the north and the need for unity. The pinnacle of this integration was the subsequent deployment of the international Caucasian coalition to Dagestan under the leadership of Georgian Colonel Leo Kereselidze.

It should be noted that this agreement preceded the development of the League of Nations charter, one of the goals of which was the peaceful resolution of conflicts and wars, which provided for the use of negotiations and arbitration to resolve the issue. Based on this scientific innovations, these processes was clearly a great achievement for the three-year period of independence filled with challenges.

Keywords: war, Caucasus, Georgia, Azerbaijan, conference.

შესავალი: 1917 წლის თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესს. ამან მრავალ დამონებულ ერს ნანატრი თავისუფლება აჩუქა. ამ მხრივ არც კავკასიელი ხალხები აღმოჩნდნენ გამონაკლისი.

ჩვენი ნაშრომის მთავარი საკითხია 1919 წლის მაის-ივნისში პირველი ქართული რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრის მიერ ორგანიზებული მრავალეროვნული კავკასიური კონფერენცია, საქართველო-აზერბაიჯანის კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების პაქტის შემუშავება და მისი შედეგები. დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში საქართველოში ჩატარებული კონფერენციებიდან 1919 წლის შეხვედრები იყო გამორჩეული იმით, რომ მასში მონაწილეობდა კავკასიის ოთხივე სახელმწიფო.

1918 წლის მაისში, როცა კავკასიაში ოთხი სუვერენული სახელმწიფო შეიქმნა, მსოფლიო ომი ისევ მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ კავკასიურ ქვეყნებს სხვადასხვა საგარეო ორიენტაცია ჰქონდათ. გადაუჭრელი რჩებოდა საზღვრების პრობლემებიც. ამას ერთი შეხედვით ქართული პოლიტ ელიტის მხრიდან დეინტეგრაცია უნდა გამოეწვია კავკასიელ მეზობლებთან მიმართებაში. მაგრამ მოხდა კი ასე?

დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი რგოლის მიერ 1919 წლის მაის-ივნისში ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია და აქ ხელმოწერილი საქართველო-აზერბაიჯანის კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელი რესპუბლიკის ორიენტაციის შესახებ. საინტერესოა რატომ ცდილობდნენ ქართული მთავრობის წევრები კავკასიელ მეზობლებთან ინტეგრაციას? რას ემსახურებოდა 1919 წელს გაფორმებული ხელშეკრულება? რა შედეგები მოჰყვა ამ ხელშეკრულებას? რითია იგი დასამახსოვრებელი და ღირსსახსოვარი?

დისკუსია: 1918 წლის მაისში ბათუმში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ხალხების ბედი წყდებოდა. ერთიანი კავკასიის იდეამ ჯერ კიდევ ამ კონფერენციაზე იჩინა თავი. 9 მაისს, ბათუმში კონფერენციის ერთ-ერთი შეხვედრისას ჩრდილო კავკასიის დელეგაციის წევრმა ჰაიდარ ბამატიმ აღნიშნა, რომ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიელები, იმყოფებიან ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის პროცესში. იგი თვლის, რომ ეს გაერთიანება კავკასიელების შიდა საქმეა, რომელიც მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს. საინტერესოა მისი სიტყვები: *და თუ მთიელებს არ ექნებოდათ ნდობა ამ გაერთიანებაში, ისინი აქ არ ჩამოვიდოდნენ* (ბახტაძე, მამულია, 2005: 18).

ამავე დროს, როგორც ცხადყოფენ დოკუმენტები, მოცემულ პერიოდში გერმანიის ხელისუფლებას, საქმეში ჩართული სამხედროების სახით, დასაშვებად მიაჩნდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება (ბახტაძე, მამულია, 2005: 19).

გერმანიასთან 1918 წლის 17 მაისს გაფორმებულ მემორანდუმში საუბარი იყო საქართველოს პოლიტიკურ მიზნებზე. მემორანდუმი ეხება კავკასიის კონფედერაციის საკითხსაც:

ეს კონფედერაცია ნეიტრალურათ (ციტირებებისას გრამატიკულ სტილს არ ვცვლით - **ავტ**.) *იქნება გამოცხადებული და საკმაო სამხედრო ძალა ეყოლება, რომ დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი გარეშეთა ყოველგვარ თავდასხმისაგან.*

მაგრამ საჭიროა უპირველესად ყოვლისა, ხელი შეეწყოს საქართველოს დამოუკიდებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი მომავალი: დამოუკიდებელი საქართველო ქვა-კუთხედათ დაედება კავკასიის კონფედერაციას (ავალიშვილი, 1929: 88).

როგორც ვხედავთ, ერთიანობის იდეა დაიბადა მანამ, სანამ საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. თუმცა საბოლოო ჯამში, ბათუმის კონფერენციის დროს ამ იდეის იმპლემენტაცია ვერ მოხდა და ეს საკითხი მხოლოდ ღიად დარჩა.

თავისი პრო-კავკასიური ორიენტაციის შესახებ ქართულმა მხარემ სიტყვიერადაც გააჟღერა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, როცა ეროვნული საბჭოს სხდომის დროს ნოე ჟორდანიამ დასძინა: *ჩვენ სახელმწიფოში არიან ერები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ და აი სწორედ ეს უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლებებით მოსილნი, როგორც თვით ქართველები. ეს ერნი შეერთდებიან ერთ დროშის ქვეშ და შემდეგ შეეცდებიან შეჰკრან კავშირი იმ ერებთან, რომლებსაც გავშორდით დღეს. ამ გვარად წარმოიშ-*

ვება ის სახელმწიფო, ის დიდი სახელმწიფო, რომელიც დღეს დაიმარხა. ეს სახელმწიფო იქნება ამიერკავკასიის კონფედერატიული კავშირი (ჟორდანია, 2018: 22).

ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა არც თუ ისე სახარბიელო ოპერატიული ვითარებები ჩაიბარეს:

ა) უკიდურესად არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ეთნიკური კონფლიქტები და მათი გაღრმავების საშიშროება; ბ) დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები; გ) რეალური საგარეო საფრთხეები; დ) მოშლილი ეროვნული ეკონომიკა და მეურნეობა; ე) შიდარეგიონული კომუნიკაციების სრული კოლაფსი.

ასეთი იყო პრობლემების ,,თაიგული", რომელთა გადაჭრა ტიტანურ ძალისხმევას საჭიროებდა (კვიციანი, 2010: 58).

მიხედავად ამისა, ქართული რესპუბლიკის მმართველ გუნდს არ უცდია მეზობლებთან კონფრონტაცია: 1918 წლის შემოდგომაზე საქართველოს ორგანიზებით თბილისში კავკასიური სახელმწიფოების კონფერენცია გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობაზე სომხურმა მხარემ უარი განაცხადა.

შეიძლება ითქვას, ეს იყო დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების პირველი ოფიციალური შეხვედრა, როგორც მინიმუმ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ. მართალია ამ შეხვედრას დიდი შედეგები არ მოჰყოლია, თუმცა კავკასიურ კონფერენციებს საფუძველი ამით ჩაეყარა.

ამ ეტაპისთვის მხარეები მხოლოდ კონსულტაციებით შემოიფარგლნენ. ერევნის უარს მალე ომის დაწყებაც მოჰყვა. სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შედეგად მიყენებულმა დიდმა მატერიალურმა ზარალმა და, რაც მთავარია, კავკასიის მონათესავე ერებს შორის დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო აშკარა გახადა, რომ ყველა სადაო პრობლემა მოლაპარაკებით, მშვიდობიანი მეთოდით უნდა გადაჭრილიყო (კვიციანი, 2010: 58).

სომხეთ-საქართველოს კონფლიქტს ერთი შეხედვით გამთიშველი როლი უნდა ეთამაშა კავკასიის ქვეყნებში, თუმცა მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს 1918 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ასე აფასებს მიმდინარე ომს: *ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს დადგა ისეთი დრო, როცა ასე თუ ისე ჩვენ უნდა დავამყაროთ ამიერ-კავკასიის ერთა შორის ერთი უფლებრივი მდგომარეობა და ვინაიდან ეს უფლებრივი მდგომარეობა არ სურს იქ ერევნის მთავრობას, ამიტომ ჩვენ ეს თავზე უნდა მოვახვიოთ ერევნის მთავრობას იარაღით ხელში.*

თუ დღეს დავმარცხდით, მე ვამბობ: ამიერ-კავკასიაში საშუდამოდ დარჩება შუღლი და მტრობა და ამიერკავკასიაში ან ფედერაცია ან კონფედერაცია შეუძლებელი იქნება (ჟორდანია, 2018: 131).

ომის დროს ქართული მხარის მიერ ასეთ სულგრძელ პოზიციას ომში გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო სულგრძელი ნაბიჯები მოჰყვა: 1919 წლის მაისში ოფიციალურმა თბილისმა კავკასიური სახელმწიფოები საერთაშორისო კონფერენციაზე მოიწვია. ამჟამად თბილისში ოთხივე კავკასიური (მათ შორის სომხეთის) დელეგაციები შეიკრიბნენ. კონფერენციაზე განიხილეს სადაო საზღვრების, ეკონომიკის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 22 მაისს მოხსენება წაუკითხავს საფინანსო-საეკონომიო კომისიას. ეს კომისია შემდგარა 9 მაისს და 21 მაისამდე 7 სხდომა ჰქონია, რომელზედაც შემდეგი საკითხები დაუმუშავებია: 1) ფულის მოძრაობა, 2) საქონლის მოძრაობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა, 3) სატამოჟნო საკითხი, 4) ტრანზიტსა და ტრანსპორტებზე, 5) ყველა კუთხის საზოგადოკონკრეტიულ ეკონომიურ ზომების მიღებაზე 6) სხვა და სხვა ეკონომიური საკითხები (საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნ: 2-3).

ფულის მოძრაობის შესახებ კომისიის მიერ მიღებულ იქნა „გადაჭრილი დასკვნანი“. ამავე და სხვა ზოგიერთ საკითხებზე გამოუტანიათ „მთელი წყება საგანგებო დებულებანი“. კონფერენციის ამავე სხდომაზე მოუსმენიათ მოხსენებანი სარკინიგზო და მომთაბარეთა კომისიისა (საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნ: 2-3).

„ტერიტორიალურ“ საკითხების შესახებ მსჯელობა ყოფილა კონფერენციის მესამე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1919 წლის 22 მაისს. შეხვედრაზე მოხსენება წაიკითხა მინისტრმა რამიშვილმა. მისი მოხსენებით ტერიტორიალურ კომისიას ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიუღია ტერიტორიული საკითხის შესახებ: *„1) კონფედერაციის წინაშე წამოყენებულია საკითხი გამიჯვნისა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა, რომელნიც აღმოცენდნენ რევოლუციის დიად ლოზუნგის განსახორციელებლად ცხოვრებაში, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე; 2) განსახილველ საგნად შესაძლოა იყოს ცნობილი მხოლოდ ის სადავო საკითხები, რომელიც მოდავე რაიონებზე რესპუბლიკათა შორის აწარმოებს საზღვრებზე; 3) გადაწყვეტა ზემოაღნიშნულ სადავო საკითხებისა მიენდოს დაინტერესებულ რესპუბლიკათა შეთანხმებით მოლაპარაკებას და თუ ეს შეთანხმებით არ მოხდა, მაშინ სადავო კითხვები არბიტრაჟის გზით სწყდება“* (საქართველოს რესპუბლიკა, 23 მაისი: 2).

სამხედრო ძალების გაერთიანებასთან დაკავშირებით მსჯელობა გაიმართა 1919 წლის 9 ივნისს, საღამოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. შეხვედრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ასეთი განცხადება გააკეთა: *„მთიელთა კავშირის რესპუბლიკაზე მოხალისეთა კავშირის შემოტევა, თავისუფლებისმოყვარე ჩრდილო-კავკასიელ ერთა ძალით დამონება და კერძოთ, მისი დაღესტანში შეჭრა არის არა მარტო თვითგამორკვეულ ჩრდილო-კავკასიელ ერთა უფლების გათელვა, არამედ პირდაპირი და-მუქრება კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მოსასპობად; მით უფრო, რომ მოხალისეთა ჯარი, გენერალ დენიკინის სახით, არა ჰფარავს თავის განზრახვას: ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ოკუპაციას, მათ ტერიტორიაზე რევოლუციამდე არსებულ წყობილების გამეფებისა და მთლიან რუსეთის აღდგენას.*

ვაცხადებთ რა უსასტიკეს პროტესტს პარიზის საზავო კონფერენციისა და ნეიტრალურ ქვეყნების წინაშე გენერალ დენიკინის დაპყრობითი თვითგამორკვეულ კავკასიის ერთა უფლებათა შელახვის სურვილების წინააღმდეგ, კონფერენცია ადგენს გაერთიანდეს ამიერკავკასიის ერთა სამხედრო-დიპლომატიური ძალები მომდგარ საფრთხის დასაძლევად და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად“ (საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნ: 3).

შეხვედრაზე აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით ფატალი-ხან ხოელი აცხადებდა, რომ წარმოდგენილი წინადადება და რეზოლუციაც სავსებით მისაღები იყო და შეეფერებოდა იმდროინდელ მომენტს. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ტიგრანიანი კი ეჭვქვეშ აყენებდა იმას, რომ დენიკინიდან ამიერკავკასიას საფრთხე ელოდა. იგი ითხოვდა ამის შესახებ მეტ ინფორმაციას, რათა საკუთარი მთავრობის წევრებისთვის ეცნობებინა ეს ამბავი და გაეგო მათი შეხედულება (საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნ: 3).

ამის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ევგენი გეგეჭკორმა*: „ჩვენ ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოებრივობას, დავიცავთ ამიერ-კავკასიას, საიდანაც კი არ უქადდეს მას საფრთხე. ერთი წლის წინად ჩვენს წინაშე იდგა ის დილემა, რომელიც სდგას ეხლაც. დავრჩეთ ამიერკავკასიის ფარგლებში, თუ ნება მივცეთ მტერს განაგრძოს წინსვლა?“*

ბოლოს სიტყვა წარმოთქვა მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა ალი-ხან კანტემირმა. მან აღნიშნა, რომ დენიკინის არმიის მსვლელობა ცალსახად ამიერკავკასიისკენ იყო განზრახული და იგი მიესალმებოდა საქართველოს დელეგაციის სიტყვას (საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნ: 3).

საბოლოო ჯამში საქართველოს ინიციატივას მხარი დაუჭირა აზერბაიჯანმა და მთიელთა რესპუბლიკამ. საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაფორმდა კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, სადაც ვკითხულობთ: *„შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხენ თავის*

თავს გაილაშქრონ ერთად მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედო საშუალებებით ყოველივე თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ერთსა ან ორივე შეთანხმებულ რესპუბლიკას. ... შეთანხმებული მხარეები პირობას სდებენ გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკებანი, მიმართული დამოუკიდებლობის და ორივე სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების დასაცავად“ (ბახტაძე, 2011:217).

მართალია ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას სომხეთი არ შეუერთდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიური სახელმწიფოების ურთიერთკონსოლიდაციის თვალსაზრისით.

ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად (ბაქოს ნავთობის მნიშვნელობა), ამ ხელშეკრულების შთამაგონებელი, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო „სამთა კავშირის“ და „ანტანტის“ გამოცდილებაც. 1914-1918 წლებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრები ძირითადად ევროპაში მოღვაწეობდნენ და კარგად ხედავდნენ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების პოზიტიურ მნიშვნელობას. 1919 წლისთვის კი ქართველებიც და აზერბაიჯანლებიც გრძნობდნენ ჩრდილოეთიდან მომავალ საერთო საფრთხეს და ერთობის აუცილებლობას.

რაც შეეხება სომხეთს, მის ამგვარ უარყოფით პოზიციას განაპირობებდა ის რეალური მოცემულობა, რომ სომხეთის ლობისტი - დიდი ბრიტანეთი გამოვიდა გამარჯვებული მსოფლიო ომში. ამაზე უარესი კი ის იყო, რომ საქართველოს ლობისტი - გერმანია ყველაფერში დამნაშავედ გამოცხადდა. ხატოვნად რომ ვთქვათ სომხეთი გარკვეულ ზმანებების ოკეანეში ცურავდა. მოგვიანებით ასე იხსენებდა ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი სომხეთის იმდროინდელ გეოპოლიტიკურ ილუზიურ მოლოდინს: *„დიდი სომხეთი, გასავალი ხმელთაშუა ზღვაში - აი ზმანება, რომელსაც თითქოს აქეზებდა დიდი სახელმწიფოები, რომელსაც კურთხევას უგზავნიდა, როგორც მაშინ ეგონათ, ყოვლის შემძლებელი პრეზიდენტი ვილსონი; ამ წარმტაც ოცნებას შეუძლებელი იყო არ გადაებირა სომხეთის ერის ცოცხალი მისწრაფებანი კავკასიის ორიენტაციიდან“* (ავალიშვილი, 1929: 136-137).

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის შესახებ კი ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კონფერენციის ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე, საფრანგეთში, ვიდრე აზერბაიჯანის სამთავრობო მისია პარიზში ჩავიდოდა (1919 წ. მაისის დამდეგი), მის მოვალეობას კონფერენციაზე ქართული დელეგაციის წევრები ასრულებდნენ (ჯანელიძე, 2018: 234).

ამ კონფერენციიდან ცოტა ხანში კი მხარეებმა დაიწყეს ურთიერთდახმარების პრაქტიკულ დონეზე რეალიზება: მაგალითად, აზერბაიჯანის მთავრობამ არმიის საჭიროებისათვის თბილისში შეიძინა 12 მსუბუქი და 12 სამთო

ზარბაზანი, 24 „მაქსიმის“ ტიპის ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობის ტყვია-წამალი და სამხედრო აღჭურვილობა, საქართველოს სამხედრო სასწავლებელში ცოდნის შესაძენად გამოიგზავნა აზერბაიჯანელ ახალგაზრდების ჯგუფი და სხვა (ჯანელიძე, 2018: 233).

გარდა ამისა, აზერბაიჯანმა და საქართველომ მთიელთა რესპუბლიკას მნიშნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწიეს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში: მთიელთა რესპუბლიკაში როცა დენიკინის საფრთხე აშკარა გახდა თემირხან-შურიდან თბილისში ჩამოვიდა პარლამენტის რამდენიმე წევრი, რომლებმაც მთიელთა მთავრობის სახელით თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას: *„დაუყოვნებლივ შედგეს საქართველოს სპეციალური საექსპედიციო რაზმი მთიელთა ძმების დასახმარებლად დენიკინის წინააღმდეგ; ნება მოგვეცეს საქართველოს ტერიტორიაზე შევადგინოთ პარტიზანული რაზმები მათი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასაყვანად; საქართველოს მთავრობას უმორჩილესად ვთხოვთ გადმოგვცეს იარაღი, არტილერია, ჭურვები და სამხედრო ტანსაცმელი პარტიზანული რაზმებისათვის; ნება მოგვეცეს რათა დავაარსოთ ფონდი ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამ მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე მივიღოთ შემოწირულობები, გავმართოთ კონცერტები, ჩავატაროთ ლექციები და სხვა ზომები მივიღოთ“* (ბახტაძე, მამულია, 2005: 18-19).

1919 წლის მაისის ბოლოს დენიკინის არმიამ მთიელთა რესპუბლიკა დაიპყრო. შემთხვევევითი არაა, რომ ამ დროს მისი ხელისუფლება თბილისში ჩამოვიდა ემიგრანტული მთავრობის სტატუსით. ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯერ ბაქოში ჩავიდნენ და შემდეგ გადმოვიდნენ საქართველოში. მუსულმანმა ემიგრანტულმა მთავრობამ ბინა დაიდო არა ისლამურ აზერბაიჯანში, არამედ ქრისტიანულ საქართველოში. ისინი ქართველებთან უფრო შინაურულად გრძნობდნენ თავს. ამავე დროს, სურდათ, რომ აქედან მოეხდინათ ანტიდენიკინური აჯანყების ორგანიზება.

საყურადღებოა, რომ იმავე წლის 23 ივნისს გამართულა საქართველოს დროებითი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზეც დაადგინეს, იარაღითა და ცხენებით დახმარებოდნენ ინგუშეთის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანულ რაზმს... გარდა ამისა, ივლისის ბოლოს, თბილისში დაარსებულ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კომიტეტში შექმნილ სამხედრო განყოფილებაში სამუშაოდ მივლინებულ იქნენ საქართველოს სახალხო გვარდიისა და სამხედრო სამინისტროს შტაბის ინსტრუქტორები. როგორც არქივში შემონახული ცნობით ირკვევა, მთიელთა კომიტეტში ქართველი ინსტრუქტორების ჯგუფს გენერალი ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა (კილაძე, 2007: 19).

საბოლოოდ, 1919 წლის აგვისტოში საქართველოში შეიქმნა სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გაგზავნილიყო. პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე იყო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ყოფილი წევრი, რომელიც I მსოფლიო ომის პერიოდში ევროპაში მოღვაწეობდა. მისი პროკავკასიური ორიენტაციის შესახებ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შვეიცარიაში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის გიზბერტ ფრაიჰერ ფონ რომბერგის მიერ 1914 წლის აგვისტოში გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი ტელეგრამა, სადაც საუბარია კერესელიძის მიერ გერმანიის მთავრობისადმი გაკეთებული მიმართვის და მისი კონსტანტინოპოლში გამგზავრების შესახებ: *გენერალური კონსული გაისლერი ჟენევიდან იტყობინება: აქ მცხოვრებ კარგი გვარის ქართველს, რომელსაც გულითად რეკომენდაციას უწევს შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ლაშენალი, საქართველოს რევოლუციური პარტიის აქტიურ წევრს, რომელიც რუსეთისგან განთავისუფლებისა და კავკასიის ოლქის დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფის, სურს მოაწყოს რევოლუცია კავკასიაში, თითქოსდაც, თურქ სახელმწიფო მოხელეებთან შეთანხმებით. მან საკონსულოს შუამდგომლობა სთხოვა, იარაღით და აღჭურვილობით გერმანული დახმარების მიღების მიზნით, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე გადაიგზავნება. მთხოვნელი, რომლის რუსეთის მხრიდან მოთხოვნილ გაცემაზე შვეიცარიამ 1907 წელს უარით უპასუხა, მზად არის შემდგომ მოლაპარაკებათა საწარმოებლად ბერლინში ჩამოვიდეს. ის სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს* (მამულია, ასტამაძე, 2019: 72).

ცოტა ხანში კერესელიძის განკარგულებაში მყოფ ქართველ მებრძოლებს შეუერთდნენ თურქი და აზერბაიჯანელი ინსტრუქტორებიც და 1919 წლის სექტემბრის ბოლოსთვის ისინი დაღესტანში შევიდნენ. ეს იყო საკმაოდ სოლიდური სამხედრო დახმარება, მაგრამ მილიტარულ მხარდაჭერაზე ბევრად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ისტორიული თვალსაზრისით. მაშინ, როცა ევროპაში ჯერ აზრადაც არავის მოსდიოდა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შექმნა, კავკასიელებმა შექმნეს კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ხოლო როცა ერთ-ერთ კავკასიურ სახელმწიფოს საერთო მოწინააღმდეგე თავს დაესხა დანარჩენებმა იქ სამხედრო კოალიცია გაგზავნეს. საგულისხმოა, რომ ეს მოხდა ,,ერთა ლიგის“ წესდების ხელმოწერამდე ცოტა ხნით ადრე, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო სწორედ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.

მრავალეროვნული კოალიცია დაეხმარა ჩრდილოკავკასიელებს. დენიკინელები გააძევეს ჩრდილო კავკასიიდან, რის შემდეგაც ყოფილი მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის საემირო. მისი იმამი შეიხი უზუნ-ჰაჯი ჰაირხანი, ხოლო პრემიერ-მინისტრი მაჰომედ კიანულ-ხან არსანუკაევ დიშნინსკი გახდა.

რაც შეეხება ლეო კერესელიძის კოალიციას, მეტად ნიშანდობლივია, რომ ისლამური ჩრდილო კავკასია ჯერ დატოვა მისიის მუსულმანმა წევრებმა, კერძოდ აზერბაიჯანლებმა და თურქებმა და ბოლოს ქრისტიანმა ქართველებმა.

ქართულ მხარეს კერესელიძის მისიის დასრულების შემდეგაც არ შეუწყვეტია ჩრდილო კავკასიის დახმარება. წითლების ოკუპაციის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ამჯერად უკვე ბოლშევიკების წინააღმდეგ, ნაჯმუტდინ გოცინსკის ხელმძღვანელობით. რუსული საბჭოთა საარქივო წყაროების ცნობით, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ლაგოდეხში შექმნა მთიელთა დამხმარე შტაბი, რომელიც ეწეოდა აგენტების შეგზავნას, იარაღის მიწოდებას, ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებას, აგიტაციას მოსახლეობაში და ასე შემდეგ. ქართველებმა 600 ცხენოსანი მთიელი შეაიარაღეს და გოცინსკის გაუგზავნეს... გარდა ამისა, თუ საჭირო გახდებოდა, თბილისი სამხედრო ნაწილებით დახმარებაზეც არ ამბობდა უარს (კილაძე, 2007: 21).

გარდა დაღესტნის მისიისა, 1919 წლის მაის-ივნისის მულტი-ეროვნული კონფერენციის ერთ-ერთ შედეგს და მისი ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1920 წლის აპრილში კავკასიაში ახალი კონფერენციის გამართვა. მასპინძელი მხარე ისევ საქართველო იყო. შეხვედრებიც ისევ საქართველოს დედაქალაქ თბილისში იმართებოდა.

ამ კონფერენციის მთავარი შედეგი ის იყო, რომ კავკასიელებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო ორგანიზაციის ,,ამიერკავკასიის საბჭოს“ წესდებას, რომლის პრეამბულაში ნათქვამი იყო: *აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი თავისი ინტერესების ერთიანობის შეგნებით აარსებენ ურთიერთშორისი დამოკიდებულების მუდმივ საერთაშორისო ორგანოს..., რომლის ვალდებულებას შეადგენს რესპუბლიკათა საგარეო მშვიდობიანობაზე ზრუნვა, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის დაცვა, დადებული ხელშეკრულებების რეალიზაციაზე კონტროლი, ახალი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავება, დავების მშვიდობიანად გადაწყვეტა, საერთაშორისო მუდმივი სამედიატორო სასამართლოს დაარსება* (კილაძე, 1997: 9-10).

ჩვენი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ამიერკავკასიის საბჭო“ იყო და არის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი, რომელიც პირველი ქართული რესპუბლიკის პირმშო გახლდათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციის

დაარსება იყო არა მარტო 1920 წლის აპრილის კონფერენციის სხდომების შედეგი, არამედ 1919 წლის კონფერენციის ფარგლებში დაწყებული ინტეგრაციის პროცესების ლოგიკური გაგრძელება.

1919 წლის კონფერენციაზე დაწყებული ინტეგრაციის პროცესების ლოგიკური დასასრული შეიძლებოდა ყოფილიყო კავკასიური კონფედერაციის შექმნა. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლამდე ძალიან ცოტა ხნით ადრე, ნოე ჟორდანიამ ასეთი რამ აღნიშნა: *„ერთიანი კავკასია ღაფავს უკანასკნელ დღეებს. შეიძლება შემდეგ შეიქმნას ამიერკავკასიის კონფედერაცია, მაგრამ ახლა კი იშლება. დღეს თითეულმა ეროვნულ ერთეულმა თვით უნდა იზრუნოს თავის მართვა-გამგეობაზე“* (ჟორდანია, 2018: 29). თუმცა საბოლოოდ კავკასიელები კონფედერაციის კონდიციამდე ვერ მივიდნენ.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მყოფი მოკავშირეთა არმიის ერთ-ერთი მეთაური პოლკოვნიკი სკოტი მოგვიანებით წერდა: სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებმა *უკუაგდეს თეორიულად და პრაქტიკულადაც თავისუფლად დარჩენის ერთადერთი საშუალება და იმედი: შეექმნათ სამი სახელმწიფოს კონფედერაცია. შემდგომ ამ კონფედერაციას უთუოდ შეუერთდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები. ამრიგად, მტკიცე ბლოკი ჩამოყალიბდებოდა. საჭიროების შემთხვევაში იგი შესძლებდა გამკლავებოდა როგორც ჩრდილოელ, ისე სამხრეთელ მეზობლებს* (ჯანელიძე, 2018: 240-241).

დასკვნა: ამგვარად, 1918 წლისთვის კავკასიაში ასეთი პოლიტიკური სურათი გვაქვს. კავკასიაში წარმოიქმნა ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებსაც ქონდათ სხვადასხვა საგარეო ორიენტაცია და ერთმანეთთან დაუდგენელი საზღვრები. ერთი შეხედვით ამას ურთიერთგათიშულობა უნდა გამოეწვია, თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საქართველომ მოახერხა და 1919 წლის გაზაფხულზე თბილისში შეეკრიბა სამივე მეზობელი კავკასიური სახელმწიფოს დელეგაციები. აზერბაიჯანთან გააფორმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მთავარი შედეგი კი ის იყო, რომ ძალიან მალე ოფიციალურმა თბილისმა დაღესტანში მულტიეთნიკური სამხედრო კოალიცია გააგზავნა მთიელთა დასახმარებლად. ეს იყო ინტეგრაციის და ურთიერთდახმარების უმაღლესი კონდიცია, რისკენაც ქართულ სახელმწიფოს უბიძგა ურთიერთკონსოლიდაციისაკენ ლტოლვამ. 1919 წლის თბილისის კონფერენციაზე დაწყებულმა კონტაქტებმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია კავკასიელი ერების ინტეგრირება და არაერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა არამარტო საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების, არამედ ზოგადად ერთიანი კავკასიის იდეის ისტორიაში. თუმცა, ერთი მხრივ თურქეთის და რუსეთის პოზიციებმა, მეორე მხრივ კი შიდა დაპირისპირებამ (განსაკუთრებით სომხეთის პოზიციამ) ხელი შეუშალა კავკასიური იდეის სრულ იმპლემენტაციას. მიხედავად

ამისა, საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება შეიძლება შეფასდეს როგორც ფრიად ღირებული ნაბიჯი კონსოლიდაციის გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი (1929): ავალიშვილი ზურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტფილისი;

ბახტაძე, მამულია (2005): ბახტაძე მიხეილ, მამულია გიორგი, მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1917-1921 წლები), თბილისი;

ბახტაძე (2011): ბახტაძე მიხეილ, საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის 16 ივნისის ხელშეკრულება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. თბილისი;

კვიციანი (2010): კვიციანი ჯონი, კავკასია და კავკასიელები, თბილისი;

კილაძე (2007): კილაძე სიმონ, გაიგზავნოს თვითმფრინავები მთიელთა დასახმარებლად, ჟურნალი ,,არსენალი," N7;

კილაძე (1997): კილაძე სიმონ, ინტეგრაციის პერიოდები და ფორმები კავკასიის რეგიონში, გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა," N164;

მამულია, ასტამაძე (2019): მამულია გიორგი, ასტამაძე გიორგი, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918, დოკუმენტები და მასალები, თბილისი;

ჟორდანია (2018): საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. XIII. ნოე ჟორდანია, თბილისი;

საქართველოს რესპუბლიკა, 23 მაისი: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1919 წ. 23 მაისი;

საქართველოს რესპუბლიკა, 12 ივნისი: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1919 წ. 12 ივნისი.

ჯანელიძე (2018): ჯანელიძე ოთარ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი.